პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი

№ 41 (13723) | პარასკევი, 17 თებერვალი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

დიად თარიღს — ღირსეული შეხვედრა

ხალხის კანდიდატები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში გამართული წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ტბაძის № 32 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ბესარიონ დავითის-ძე ყულენტი.**

თბილისის მარმელადის ფაბრიკის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წერეთლის № 60 საარჩევნო ოლქში დასახელა ამ ფაბრიკის ჩამწყობი **მარიამ მიხეილის ასული რასახანი.**

თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ გადაწყვიტა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ისნის № 66 საარჩევნო ოლქში დასახელოს თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ დირექტორი **მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძე.**

ნავთლუღის სადგურში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლოჭინის № 70 საარჩევნო ოლქში დასახელეს ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი პირველი მოადგილე, საბჭოთა მეურნეობის ძუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალმა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აწყურის № 113 საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს კომპანიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი **შალვა ონისიმეს-ძე გრძელიშვილი.**

ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ რეაპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინგორის № 114 საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჯანმრთელობის მთავარი სამმართველოს უფროსი **გიორგი ნიკოლოზის-ძე ბარძიმოვი.**

ცაიშის № 308 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პოროპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი **მიხეილ ბახვის-ძე ნარსია.**

ქედის რაიონის სოფელ დოლოგანის კოლმეურნეობაში გამართული წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქედის № 384 საარჩევნო ოლქში დასახელეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი **ივანე სერგის-ძე კატაშკინი.**

მშრომელთა წინასაარჩევნო კრება გაიმართა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის კოლმეურნეობაში. კრებამ დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინგორის № 399 საარჩევნო ოლქში დასახელოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი **კონსტანტინე ივანეს-ძე ქავთარაძე.** (საქდესი).

საქართველო ემზადება არჩევნებისათვის

დღეს ოსეთში

ცხინვალი. (საკ. კორ.). თოვლმა დაფარა მთა-ბარი, გაძნელდა მთის სოფლებს შორის მიმოსვლა. მიუხედავად ამისა, ჯავისა და ლენინგორის რაიონების მაღალმთიან სოფლებში ფართოდ გაიშალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება.

დამთავრდა საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობების დასახელება და დამტკიცება, ამომრჩეველთა კლუბების შექმნა, პოლიტორგანიზატორების გამოყოფა.

ფართო საქმიანობა გაშალა საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიამ, რომლის თავმჯდომარეა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. გელაშვილი. კომისიამ უკვე რამდენიმე სხდომა გამართა, რომლებზეც დაწვრილებით იმსჯელეს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რაიონებიდან მოღის ცნობები იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელშიც აქტიურად ჩაებნენ ამომრჩეველთა კლუბები, პარტიული კომიტეტების ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფები, 600-მდე პოლიტორგანიზატორი. მთელ რიგ სოფლებში ეწყობა ამომრჩეველთა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან.

ვირველი ნაბიჯები

ბათუმი. (საკ. კორ.). ნავსადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დამატებით გამოსყო 30 პოლიტორგანიზატორი. ახლა ამომრჩეველთა შორის ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა 75 აქტივისტი.

ამომრჩეველთა კლუბში ეწყობა საუბრები საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე. საბჭოთა მოკავშირეს უფლება-მოვალეობაზე. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ პოლიტორგანიზატორები რ. გვაზავა, შ. მიქელაძე, ი. ჩილეანი და სხვები.

არჩევნებისათვის მზადება საქმიანად, საინტერესოდ მიმდინარეობს პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის ამომრჩეველთა კლუბში. აქ ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის უკვე გაიმართა ლექციები და საუბრები, კლუბის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ ძველი ბოლშევიკები, შრომის ვეტერანები, პენსიონერები. ამას წინათ მოეწყო ამომრჩეველთა შეხვედრა ძველ ბოლშევიკთან, კომუნისტური პარტიის წევრთან 1918 წლიდან ფილიმონ ლაბაძესთან, რომელმაც შეკრებილთ საინტერესოდ უამბო საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, იმ დიდ მუშაობაზე, რაც მათ გაწიეს ახალი წყობილების განსამტკიცებლად. ფ. ლაბაძემ უპასუხა ამომრჩეველთა შეკითხვებზე. სურათზე — ფილიმონ ლაბაძე ესაუბრება ამომრჩეველს.

ფოტო ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

19 ივლისი არჩევნების დღეა!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

16 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა ამ კომისიის თავმჯდომარე შ. კიკნაძე.

სხდომამ მოისმინა ამერიკაკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის ა. ჭიპაშვილის ინფორმაცია რკინიგზის ტრანსპორტზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზა სრული პასუხისმგებლობით მიუდგა რესპუბლიკის ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიას.

კომისიის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი და საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილების გამგე ი. ვასმანი, რომლებმაც ილაპარაკეს იმაზე, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდება ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, პროფკავშირთა კლუბებში უკვე დაიწყო მუშაობა ახალგაზრდა ამომრჩევლებთან. მხატვრული თვითმოქმედების წრეები საქმიანობას წარმართავენ საარჩევნო კამპანიის მომსახურებისათვის. თეატრის ყველა კლუბში შექმნილია ვიტრინები და სტენდები, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მაღაზიების საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე, უშვიებენ არჩევნებისადმი მიძღვნილ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა მოისმინეს ქალაქ გორის ლენინის № 94 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გ. კლიმიაშვილის, ზესტაფონის რაიონის № 207 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ო. ბუხნიკაშვილის, დუშეთის რაიონის დუშეთის № 158 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბ. არუთინოვისა და ქალაქ ჭიათურის № 214 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შ. ახვლედიანის ინფორმაციები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ყველა საარჩევნო ოლქში უკვე დამტკიცებულია საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრების მორგებული გრაფიკი, მთლიანად მიიღეს წინასაარჩევნო ლიტერატურა, ახლა დგება და ბუსტდება ამომრჩეველთა სიები. სიები გამოიკიდება უახლოესი კვირის განმავლობაში. შეიქმნა აგრეთვე ამომრჩეველთა კლუბები, ყველა უბანთან არის სატელეფონო კავშირი, საარჩევნო ოლქები უზრუნველყოფილია საჭირო ტრანსპორტით. არჩეულია დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები, დაიწყო ხალხის კანდიდატთა რეგისტრაცია.

სხდომაზე დამტკიცდა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა მორიგეობის გრაფიკი. (საქდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

16 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისადმი. (საკდესი).

ავიატორთა წვლილი

შარშან ივლისში საქართველოს ავიატორთა კოლექტივი საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის აეროფლოტში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა. ეს ინიციატივა მოწონეს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ და პოლიტიკურმა სამმართველომ.

ახალი ვალდებულებანი საქართველოს ავიატორებმა პირნათლად შეასრულეს. საჰაერო გადაზიდვათა და სპეციალურ გამოყენებაში ავიაციის სამუშაოთა ხახელმწიფო გეგმა ყველა საწარმოო და ფინანსურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შესრულებულ იქნა ჯერ კიდევ 6 დეკემბერს.

სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ მიაღწია ჩვენი ქვეყნის აეროფლოტში ფრენის ყველაზე მაღალ წარმადობას და კომერციული დატვირთვისა და მგზავრთა სავარძლების გამოყენების ყველაზე მაღალ პროცენტს.

განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს ავიამუშაკებმა მეოთხე კვარტალში. მათ ერთ-ერთი პირველი ადგილი დიაკვეს ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოთა შორის. ამისათვის სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს კოლეგიისა და ავიამუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს ავიამუშაკთა კოლექტივს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიეკუთვნა სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროსა და ავიამუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ავიატორებმა კარგად დაიწყეს საიუბილეო 1967 წლის შრომითი ვახტიც. გეგმა იანვარში ყველა საავიაციო საწარმომ შეასრულა.

ი. კოზლოვი,
გაზეთ „ავიატორ გრუზიის“ თანამშრომელი.

გადაჭარგებით

ხაშური. საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. მაღალაშვილმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. ოჩხინელმა,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. მაისაშვილმა** გუშინ კომუნისტის რედაქციას აცნობეს, თუმცა რაიონის მშრომელებმა საიუბილეო წელს პირველი წარმატებები მოიპოვეს. სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გაწეული შედეგად 14 თებერვლისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.179 ცენტნერი რძე ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 3.000 ცენტნერისა, ხორცი — 1.120 ცენტნერი ნაცვლად 1.100 ცენტნერისა.

კარგად იმუშავეს სურამის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე **ნ. გოგოლაძე**), ოციატის (თავმჯდომარე **ვ. კვინიკაძე**), ფლევის (თავმჯდომარე **გ. ჯელაძე**), წრომის (თავმჯდომარე **ს. გოგიბერიძე**) კოლმეურნეობებმა, ქვაშხეთის (დირექტორი **ს. გელაშვილი**) და ალის (დირექტორი **გ. ნოზაძე**) საბჭოთა მეურნეობებმა.

ქასპის ცემენტის ქარხანა რესპუბლიკის ერთერთი მსხვილი საწარმოა. ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის პირველ სამეურნეო წელს სამშობლოს რამდენიმე ათასი ტონა ზეგეგმითი ცემენტი მისცა და ახლა წარმატებით იბრძვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მათ ვალდებულება აიღეს წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 10 ათასი ტონა ცემენტი, 1.200 ათასი პირობითი ფილა შიფერი. საწარმოში დიდ ყურადღებას აქცევენ მბრუნავი ღუმელების მოდერნიზაციას.

სურათზე: მთავარი მექანიკოსი ნიკოლოზ ზავოდნოვი (მარჯვნივ) ესაუბრება შემდუღებელს ვლადიმერ ხრილოკიაშვილს მბრუნავი ღუმელის მოდერნიზაციის საკითხზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების დღის აღსანიშნავად

ახლოვდება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 49-ე წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად საბჭოთა კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი აწყობს თვალსაჩინო-მასობრივი მუშაობის ერთთვიურს.

ამ დღეებში — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში კითხულობენ მოხსენებებსა და ლექციებს საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი ისტორიის, ჩვენი საშობლოს დამცველთა გმირობის შესახებ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში, ზურგის მშრომელთა სახელოვან პატრიოტულ საქმეებზე.

მომავალ თარიღს აღნიშნავენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სპორტსმენები — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების წევრები. ეწყობა მასობრივი შეჯიბრებანი, სროლანი, საავტომობილო სამოტოციკლო და ავიასამოდელო სპორტში. ეწყობა ლაშქრობები ყოფილი ბრძოლების ადგილებში. სკოლებში, დაწესებულებებში, საწარმოებში შეიქმნა საბჭოლოლ დიდების ისტორიკ ხუთეტ ადამიანებისა. ასობით კუთხე ადა მუზეუმში, მოეწყო წიგნისა და ფოტოგამოფენები. მათი მასალები ასახავენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს. სამსახურს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორგანიზაციებში. ეწყობა ლაშქრობა ფლოტის რიგებში.

ათასობით მოსკოველი და დედაქალაქის სტუმარი აწყობს ექსკურსიებს სსრ კავშირის, შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმის დარბაზებში. აქ ისინი ეცნობიან მრავალ ექსპონატს, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო გზის შესახებ, ხვდებიან სახელგანოქმულ მხედართმთავრებს, ომის გმირებს.

მოსკოვი. (საკდესის კორ.)

ოურქი სტუმრები მოსკოვში

მოსკოვი ჩამოვიდა თურქეთის სავეტერინარო სამსახურის დელეგაცია, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს შინაური ცხოველების სახაზღვრო კარანტინის საკითხებზე შეთანხმების დადების შესახებ. დელეგაციას მეთაურობს თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილე ნ. ილჯი.

15 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის წარმომადგენელთა პირველი სხდომა.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს უფროსი ა. დ. ტრეტიაკოვი.

(საკდესის კორ.)

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

ეძებენ

ბიოთანამგზავრს

ნიუ-იორკი. 15 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის ბიოთანამგზავრი, რომელიც არ გამოეხმაურა ორი თვის წინათ დედამიწიდან გაგზავნილ სიგნალებს, როგორც ჩანს, გუშინ სალამის დაშვებულა ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში. ახლა ეძებენ მას. ამას იუწყება აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენელი.

ბიოთანამგზავრი კენედის კოსმოდრომიდან გაუშვეს 1966 წლის 14 დეკემბერს და დედამიწაზე უნდა დაბრუნებულიყო სამი დღის შემდეგ.

მაგრამ იგი გამოვიდა კონტროლიდან, როცა მისი სამუხრუჭო რაკეტა არ ჩაერთო.

ბიოთანამგზავრში იყვნენ ცოცხალი ორგანიზმები, მათ შორის ბაყაყის ქვირითი, ჩრაზანები და ხეხილის ბუზები. აგრეთვე ოესლი. თანამგზავრზე იყო რადიაციის იზოლირებული წყარო — სტრონციუმი — 85, რათა მეცნიერებს წარმოდგენა ჰქონოდათ, რა ზემოქმედებას მოახდენს რადიაქტიური გამოსხივება ცოცხალ ორგანიზმებზე უწონობის პირობებში.

ფიქრობენ, რომ ყველა ცოცხალი ორგანიზმი დაიღუპა.

კონფერენცია ალჟირში

ნიკოზია. 16 თებერვალი. (საკდესი). ალჟირსა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის საბჭომ მერგე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება აფრიკისა და აზიის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის საბჭოს მეხუთე კონფერენცია მოიწვიოს წელს ალჟირში.

ხაღხის საწინააღმდეგოდ

ბუენოს-აირესი. (საკდესი). არგენტინის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აიკრძალა გაფიცვები და ქუჩის დემონსტრაციები. ეს გადაწყვეტილება ამას წინათ შეძახილი უმეცრების ეროვნული საბჭოს პირველმა სხდომამ მიიღო არგენტინის სამმილიონიანი პროფკავშირული გაერთიანების — შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბრძოლის გეგმის პასუხად.

მაკნამარას პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი. 16 თებერვალი. (საკდესი). თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ, რომელიც გუშინ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ უახლოეს დროს ჯარში დამატებით გაიწვევენ კიდევ 25 ათას კაცს. უმთავრესად. ეს შეეხება რეზერვისტებს, რომლებიც დღემდე ამა თუ იმ მიზეზით განთავისუფლებული იყვნენ ჯარში გაწვევისაგან.

მაკნამარამ უპასუხა კორესპონდენტთა ბევრ შეკითხვაზე იმის გამო, რომ ამერიკის თვითმფრინავები კვლავ ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას და ფაქტიურად აღიარა, რომ შეერთებულმა შტატებმა ვერ აიძულეს ჩრდილოეთ ვიეტნამს შეეცვალა თავისი პოლიტიკა.

ამერიკის თავდაცვის მინისტრმა მოიყვანა მონაცემები ვიეტნამში შეიარაღებული ძალების რიცხვის გაფართოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზარალის შესახებ. როგორც მაკნამარამ თქვა, ორ საფინანსო წელიწადში (1965-1966 და 1966-1967 წლები) შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს ამ პერიოდში გამოშვებულ თვითმფრინავთა და ვერტმფრინავთა თითქმის ნახევარი, იმ თვითმფრინავების ჩათვლით, რომლებიც ვიეტნამშია ჩამოგდებული. მარტო თვითმფრინავების დანაკარგი 60 პროცენტს აღემატება.

ინდოეთი საიუნძი პარტიიდან მარჩხეს

ტოკიო. 15 თებერვალი. (საკდესი). დღეს გაზეთი „აკასტა“ აცხადებს, იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ცნობას, რომ პარტიული წესდების დარღვევის გამო პარტიიდან გაურიცხავთ კიხკაძე საიონძი.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ეს გადაწყვეტილება 27 იანვარს მიიღო. იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საიონძი ჩინეთში გაემგზავრა 1957 წელს. ორიოი გაფრთხილების მიუხედავად, საიონძი ანტიპარტიულ საქმიანობას ეწეოდა. პეკინის რადიოს გადაცემებში იაპონიისათვის და სინდუს საგენტოს საშუალებით იგი ხშირად ცილს სწამებდა იაპონიის კომუნისტურ პარტიას და იაპონიის დემოკრატიულ მოძრაობას და მოუწოდებდა დაეწყოთ გამთავშული მოძრაობა.

„აპოლონის“ პროგრამა უნდა შეიცვალოს

ვაშინგტონი. 16 თებერვალი. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა ძირეულად უნდა შეცვალონ „აპოლონის“ პროგრამა, სანამ ამერიკელი მეცნიერები მთვარეზე გაგზავნიდნენ პირველ კოსმონავტს, განუცხადა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს“ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორმა ჯეიმს უებმა. ეს ცვლილებანი, როგორც მან თქვა, მას შემდეგ მოხდება. როცა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო მიიღებს იმ საბოლოო ანგარიშებს, რომლიც იმისათვის შეიქმნა, რომ გამოძიების ამას წინათ კენედის კოსმოსურ ხომალდში გაჩენილი ხანძრის მიზეზები. როგორც ცნობილია, ამ ხანძრის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა სამი ამერიკელი ასტრონავტი.

ჩინეთის ამბები

პეკინში გაკრულია მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ დიდი წმენდაა მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგეებს შორის სამხედრო აპარატში. თავდასხმების მსხვერპლად 25 თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწე ამოარჩიეს. მათ შორის არიან თავდაცვის მინისტრის მოადგილე სიაო ძინ-გუანი, შიდა მონღოლეთის სამხედრო ოლქის სარდალი ულანფუ და სინძიანის სამხედრო ოლქის სარდალი ვან ენ-მაო. ცნობილი მხედართმთავრები ხე ლუნი და ლო ჟუი-ცინი კვლავ გააკრიტიკეს როგორც მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგენი.

ჩინეთის სხვადასხვა რაიონიდან მოღის ცნობები, რომ ძაოფანთა („შფოთისთავთა რაზმების“) მოქმედებას წინააღმდეგობას უწევს არმია. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტის ცნობით ხენანის პროვინციის შფოთისთავები თავიანთ ფურცელში ჩიეიან, რომ ხენანის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები სარდლის მეთაურობით „იარაღით ახმობენ“ ძაოფანთა — „მაოს ხაზის“ მომხრეთა მოქმედებას.

როგორც ამ ფურცლიდან ირკვევა, 7 თებერვალს ჩინეთის არმიის სამხედრო მოსამსახურენი თავს დაესხნენ პროვინციული გაზეთის „ხენან ყიბაოს“ რედაქციას, რომელიც ამას წინათ ჩაიდგდეს ხელში ძაოფანტა. მომხდარი შეტაკების შედეგად დიაჭრა 100-ზე მეტი ძაოფანი. ქალაქ კაიფინში სამხედრო მოსამსახურეებმა დაამატმრეს მაო ძე-დუნის 100-მდე მომხრე.

როგორც შიდა მონღოლეთის გაზეთი „ჯუნეენ ჯანბაო“ იუწყება, იქ მომხდარა „დიდი მასშტაბის სისხლსმღვრელი ამბები. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ სთხოვეს შიდა მონღოლეთის პარტიულ კომიტეტსა და ქალაქ ხუხ-ხოტის ხუნვეინნებს მოხალაპარაკებლად გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები პეკინში.

პეკინში გაკრულია ძაღი, რომლებიც ამბობენ, ეს ბაოები იუწყებიან, რომ მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგეებმა ჯარები გაგზავნეს, რათა ალყა შემოერტყაო შენობებისათვის, სადაც იმყოფებიან ამას წინათ „რეორგანიზებული“ საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოები, პოლიცია, პარტიის საქალაქო კომიტეტი და სახალხო კომიტეტი. ძაღი ბაოებში ნათქვამია, რომ ტიბეტის სამხედრო ოლქის ჯარდალი ჯან გოკუო, რომელსაც „დენ სიაო-პინის დამქაშს“ უწოდებენ, „ემზადება ახალი უფრო ფართო მასშტაბის მოქმედებისათვის“.

როგორც გაზეთი „ენენინ ყიბაო“ იუწყება, მაო ძე-დუნის ჯგუფის მოწინააღმდეგეთა მოქმედების ჩასახშობად ხელისუფლიანის პროვინციაში იყენებენ ხელისუფლიანის სამხედრო ოლქის ჯარებს, გაზეთი ამ ჯარების მოქმედებას „კონტრრევოლუციის ჩახშობას“ უწოდებს.

სსრ კავშირის პეკინის ხალხოსან გუშინ ნაშუადღეს გაკრა უკანასკნელი მანქანა დინამიკით, რომლითაც ანტისაბჭოთა გადაცემებს აწარმოებდნენ. დღეს საელჩოს ტიმკართან გამოჩნდნენ ადამიანების ცალკეული მცირე ჯგუფები, რომლებიც ანტისაბჭოთა ლოზუნგებს გაიძახოდნენ.

საზღვარგარეთის პრესა წერს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვის განახლების შესახებ და ხაზს უსვამს, რომ ვაშინგტონმა გადაწყვიტა განაგრძოს ავრესია, რადგანაც იმედი აქვს, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობის პოზიცია შეაფერხებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მომარაგებას და „ჰანოის ძნელ მდგომარეობაში ჩააყენებს“.

„ვაშინგტონს მიაჩნია, რომ სიტუაცია, რომელიც ჩინეთში ეგრეთ წოდებული კულტურული რევოლუციის შედეგად შეიქმნა, ასუსტებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობას“, — წერს დღეს პოლონეთის გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“.

ამ აზრს ამერიკის პრესაც ადასტურებს. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ჩინეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაუარესების შედეგად შეიძლება შეწყდეს „ჰანოისათვის მასალების მიწოდება ჩინეთის რკინიგზებით და საბჭოთა სპეციალისტების ფრენა ჰანოიში თვითმფრინავებით“.

თვლასაჩინო ამერიკელმა კომენტატორმა მაკს ფრენკელმა სატელევიზიო გადაცემის დროს ამ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა: „ჩვენ თავმჯდომარე მაოს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან დაამსხვრია ეს გიგანტური ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მონოლითი, რომელიც კარგს არაფერს არ გვიქადდა“.

(საკდესი, 15 თებერვალი).

რკინა ღიად საქართველოში

საქართველოს სსრ

ეზიდ ვიყოთ გაზაფხულისათვის

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ დადგენილებით დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოების ტექნიკის ხარისხიანად ორგანიზების, მისი მუშაობის ეფექტიანობის, შესრულებულ სატრაქტორო სამუშაოთა აღრიცხვის მოწესრიგების, საწვავ-საცხებელი მასალების ეკონომიურად ხარჯვისა და მანქანა-იარაღების შენახვის წესების დაცვის მდგომარეობის მასობრივად დათვალიერება-შემოწმება.

ბრძოლა, შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ხუთწლედის მეორე წელს ეხვი, ბარაქიანი მოსავლის მოსაღებად, საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის. ბევრგან ყველაფერი მზად არის მინდვრად გასვლისათვის. მაგრამ არის ნაკლიც. სატრაქტორო პარკის გამოყენების საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულების შედეგად აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოუგვარებელი იყო ტრაქტორების მთელი სიმძლავრით გამოყენების, შესრულებულ სამუშაოთა და დახარჯული საწვავ-საცხებელი მასალების აღრიცხვის საქმე, რის შედეგადაც გადახარჯული აღმოჩნდა ასობით ტონა საწვავი. საწვავის დიდი გადახარჯვა დაუშვეს აგრეთვე ახალციხის, ბორჯომის, სიღნაღის, ცაგერის, მარნეულის, გარდაბნის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების მეურნეობებმა. შემოწმების დროს თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო მანქანები გაუწმენდავი და შეუზეთავი იყო.

დათვალიერება-შემოწმებაში უნდა ჩავებათ სოფლის მეურნეობის საბალობო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფების, ხაგუშაგოების, „კომკავშირული პროჟექტორის“ რაზმების, პრესის, რადიოს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ფართო აქტივი.

რა საკითხებს უნდა მივაქციოთ ყურადღება შემოწმების დროს?

მთავარია სატრაქტორო პარკის რაციონალურად გამოყენება, შესრულებულ სატრაქტორო სამუშაოთა აღრიცხვა; სასტიკად უნდა აიკრძალოს საწვავ-საცხებელი მასალების არადანიშნულებით ხარჯვა და მოგვარდეს საწვავის გაცემის, გადაზიდვის, შენახვისა და ტრაქტორების კვალში საწვავით გაწყობის საქმე.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ტემპის დაჩქარებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სარემონტო სამუშაოთა ხარისხიანად შესრულებას, ხათადარიგო ნაწილებითა და მასალებით მომარაგებას, სარემონტო სახელოსნოებში არსებული ჩარხ-დანადგარების შეუფერხებელ მუშაობას.

მკაცრი პასუხი უნდა მოვთხოვოთ იმ პირებს, რომლებიც უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლა-შენახვისა და საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ტექნიკის დროულად მომზადებისადმი.

შემოწმების შედეგების განხილვა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარების საფინდარია. ვავხადოთ თვითეული ჰექტარი უხვმოსავლიანი, ღირსეული საჩუქრებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

კომუნისტი

ეზიდ ვიყოთ!

ამოიკითხეთ ბოლოგვერდზე

სახალხო კონტროლის ჟურნალი №36

„კომუნისტის“ რეიდი

მიმოფანტული მანქანები

უკანასკნელ ორ წელიწადში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აბაშის რაიონის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. ეს განსაკუთრებით ითქმის მარცვლეულის, მეცხოველეობის ფოლის წარმოებაში მიღწეულ წარმატებებზე.

აბაშის რაიონში წამყვანი კულტურა სიმინდია. ეს კულტურა წინათაც რაიონის სოფლებში დიდ ფართობზე ითესებოდა, მაგრამ შრომასაც დიდს მოითხოვდა. შემდგომ, როცა მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად დღის წესრიგში დადგა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის აღმავლობის საკითხი, მთავარი ბერკეტი მექანიზატორებს მიენდოთ, რათა მათი მესანიმნავი ტექნიკითა და მუყაითი შრომით შესაძლებელი გამხდარიყო წლებით ხელუხლები, ყამირი, გამოუადეგარი მიწების ხალხის სამსახურში ჩაყენება.

მარცვლეულის წარმოებაში მექანიზაციას პირველი სიტყვა ეკუთვნის, მაგრამ ამ ბოლო დროს სხვა კულტურების წარმოებაშიც დამკვიდრდა ივი.

კარგად ახსოვთ რაიონის მეჩაიეებს სარწყავი აგრეგატების სიკეთე. ამით მაღლიერნი ყველანაზე. მეტად ნორიოს კოლმეურნეობის მეჩაიეები არიან. მათ მექანიზებული რწყვა 36 ჰექტარზე აწარმოეს და ამით მოსავლიანობა საკრძალობლად გაზარდეს.

სამწუხაროდ, რაიონის სხვა კოლმეურნეობებში ჩაის ბუჩქების ხელოვნურ დაწვიმებაზე სათანადოდ არ ზრუნავენ.

დღეს რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ეკონომიურად განმტკიცებისა და წინსვლის გარდუვალ საშუალებად ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მიაჩნია, და ეს ასეც არის. მართალია, რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო ტრაქტორები, მისაბმელი მექანიზმები თუ სხვა ტექნიკა, მაგრამ მათს მოთხოვნებს ძირითადად „საქსოფლტექნიკის“ აბაშის განყოფილების (მმართველი მ. ბოკერია) მექანიზატორები აკმაყოფილებენ.

ეს განყოფილება ყოველწლიურად წარმატებით ასრულებს ტრაქტორების შეკეთებია ყოველთვიურ დავალებებს. წარმატებით შესრულდა გასული წლის მეოთხე კვარტალის დავალება.

განყოფილების მექანიზატორები არც მიმდინარე წელს აფერხებენ საქმეებს. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით სარემონტო სახელოსნოს ზეინკალს ბ. ბაღნარაძეს, შემდეგებელს ო. მესხს, მქედლებს ა. მიქაუტაძეს და ი. ჯანჯღავას, ხარატს რ. შომახიას.

როცა რაიონში საიუბილეო წლის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა, ამჯერადაც პირველები „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მექანიზატორები იყვნენ. სწორედ მათი თავდადებული შრომის შედეგად შარშან ნაცვლად 37.200 ჰექტარისა ხვნის გეგმა (რბილ ხვნაზე გადაყვანით) 43.750 ჰექტარზე შესრულდა. ნაცვლად 3.880 ჰექტარისა მზრალად მოიხნა 5.994 ჰექტარი.

ახლა აბაშის რაიონში საკმაოდ ცივა, თოვლის საფარველი გადაეფარა მიდამოს, მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ ბევრგან ვერ გრძნობენ ზამთრის სიმკაცრეს და შესაძლებელია მომავალ გაზაფხულს მოუმზადებელნი შეხვდნენ.

როცა სიტყვა გაზაფხულისათვის მზადებას ეხება, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების ხარემონტო სახელოსნოს მუშაკებს სასაყვედურიც აქვთ.

სამართლიანი საყვედური გავოთქვა სახელოსნოს გამგეს ი. ბაკდესიანმა:

როცა ტრაქტორის ნაწილები უპატრონოდ ყრია... ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

„ბელორუსის“ მარკის ერთი ტრაქტორი სარემონტოა და თითქმის ერთი წელია ღია ცის ქვეშ დგას. ამასთან ამ ტრაქტორის საბურავები ვარგისია, მაგრამ დღემდე ტრაქტორიდან მოხსნილი არ არის და ფუჭდება. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გასაჩერებლად გამოყოფილ ტერიტორიაზე უწესრიგოდ მიმოფანტულა და ტალახში ყრია ტრაქტორული ნაწილები და ფოლადი. ასეთივე მანქანებია ძველი ნაწილები და ლულები ამ ადგილას. ეს ნაწილები ან ლულები ან ფოლადი ან ნაწილები ან ლულები ან ფოლადი ... ეს ... ეს ... ეს

მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის ანტისაბჭოთა პოლიტიკის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენს პარტიას და ჩვენს ხალხს არაერთხელ მოუგერიებიათ მტრული ძალების სასტიკი თავდასხმები კაცობრიობის ისტორიაში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოზე. მაგრამ თუ გამოვიცხავთ ომის პერიოდებს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პირდაპირი შეიარაღებული აგრესიის პერიოდებს, შეიძლება ითქვას, რომ მის წინააღმდეგ არასოდეს არ მოუწყვიათ ისეთი გააფთრებული კამპანია, როგორიც ჩინეთის დღევანდელმა ხელმძღვანელებმა გაიჩაღეს.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის გამწვავებას, რაც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელი დაჯგუფების პოლიტიკამ გამოიწვია, თავისი ისტორია აქვს. ეს ისტორია კარგად იციან სოციალისტურმა ქვეყნებმა, მოძმე პარტიებმა, მთელმა მსოფლიო საზოგადოებრიობამ. ფართოდ ცნობილია აგრეთვე ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში. ჩვენ თანმიმდევრულად და მტკიცედ ვახორციელებდით ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის კურსს, ვცდილობდით მეგობრობისა და თანამშრომლობის გზას დავბრუნებოდით, ყოველ ღონეს ვხმარობდით, რათა უზრუნველგვეყო ჩვენი ორი ქვეყნისა და პარტიების მოქმედების ერთიანობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, და უწინარეს ყოვლისა, ვიეტნამელი ხალხისადმი მხარდაჭერის საქმეში, რომელიც გმირულად იგერიებს ამერიკის აგრესიას.

ამაშია აზრი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მრავალი იმ წინადადებისა და ინიციატივისა, რომ განგვეხორციელებინა კონკრეტული ღონისძიებანი პოლიტიკასა და ეკონომიკაში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის თანამშრომლობის განვითარებისათვის, მოგვეწყო მოლაპარაკება და შეხვედრები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ გაგვეუმჯობესებინა ურთიერთობა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე პარტიული ხაზით, ამაშია აზრი ჩვენი პოლიტიკისა, რომლის თანახმად განუხრელად დაუცავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი ინტერესები მსოფლიო ასპარეზზე, უზრუნველვყოთ ყველაზე ხელშემწყობი პირობები სოციალიზმის მშენებლობისათვის ჩინეთში ისევე, როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. და, ბოლოს, ეს არის იმ თავდადგერისა და მოთმინების მიზეზი, რომლებსაც ჩვენი პარტია იჩენს, მიზეზი იმისა, რომ დიდი ხნის მანძილზე ჩვენ ცალმხრივად ვამბობდით უარს საჯარო პოლემიკაზე მაშინაც კი, როცა ჩინეთის ხელმძღვანელობა აშკარად მიმართავდა მტრულ გამოხდომებს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მშვიდობა და თანხმობა მოითხოვს არა ერთი, არამედ ორივე მხარის კეთილ ნებას. როგორი იყო მაო ძე-დუნისა და მისი დაჯგუფების ნება? როგორც ცნობილია, ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყველა წინადადებას, რომელთა მიზანი იყო ურთიერთობის გაუმჯობესება, ყოველთვის უარყოფდნენ — ამასთან სულ უფრო უხეში და უტიფარი ფორმით. პეკინის პოლიტიკა ი სულ უფრო მტრული ხასიათისა ხდებოდა. მაშინაც, როცა ინტერნაციონალური მოვალეობა და მოვლენათა მთელი ლოგიკა მოითხოვდა, რომ გადაგვედო თანხმოებანი, გავერთიანებულიყავით იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის, ჩინეთის ელმძღვანელობა ყოველი ოგონილი საბაბით, ზოგჯერ ი სულაც უსაბაბოდ, აღვიებდა ბრძოლას სოციალისტურ თანამეგობრობასა და კომუნისტურ მოძრაობაში და ამ ბრძოლის მახვილი ძმთავრესად მიმართული ყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაო ძე-დუნის ჯგუფი შკარად დაადგა იმ საგარეოპოლიტიკური მოქმედების სისტემატურად ჩაფუშის გზას, რომლებსაც სსრ კავშირი ახორციელებდა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ეუტიფარი მოქმედების სიას ყოველდღე ახალ-ახალი ებთან ერთად მსოფლიო სოციალიზმის, რევოლუციური მოძრაობის, საყოველთაო მშვიდობის ინტერესთა დასაცავად, დაადგა კომუნისტური და განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციების გათიშვის გზას. უფრო მეტიც, პეკინი სულ უფრო დაჟინებით ცდილობდა ძირგამომთხრელი საქმიანობა გაეჩაღებინა სოციალისტური ქვეყნებისა და კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, ერეოდა ძათს საშინაო საქმეებში და მთელ რიგ პარტიებში ქმნიდა გამთიშველ ჯგუფებს.

უკვე დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, თითქოს მაო ძე-დუნის ჯგუფის პოლიტიკა იდეოლოგიურ უთანხმოებათა გამოხატულება, კომუნისტური მოძრაობის ფარგლებში მიმდინარე დისკუსია იყოს. ამ ჯგუფმა არ იკმარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე პარტიების ხაზზე თავდასხმა და დაიწყო აშკარა პოლიტიკური ბრძოლა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის წინააღმდეგ. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის შემდეგ, რომელიც გასული წლის ზაფხულში გაიმართა, და ეგრეთწოდებული „კულტურული რევოლუციის“ გაშლის შემდეგ დაიწყო ამ ბრძოლის ახალი, კიდევ უფრო საშიში ფაზა. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გამწვავდა.

მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობის ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ცილისმწამებლური პროპაგანდა. იგი ბოროტი განზრახვით ამახინჯებს საბჭოთა სახელმწიფოს ყველა საგარეოპოლიტიკურ ღონისძიებას, რომლებიც ნაკარნახევია მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის ზრუნვით. ჩინეთის პრესა და რადიოსადგურები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ ჩრდილი მოსცხონ ჩვენს ხალხს და მის პარტიას. უფრო მეტიც. მრავალი თვის მანძილზე ჩინეთის პროპაგანდა მოუწოდებს საბჭოთა ხალხს დაამხოს არსებული წყობილება, „წითელ მოედანზე აღმართოს მაო ძე-დუნის დროშა“ და სსრ კავშირში დაამყაროს „ახალი წესწყობილება“ იმის მსგავსად და ხატად, როგორსაც ახლა მაო ძე-დუნი ჩინეთში ნერგავს.

მაგრამ ეს ბრძოლა როდი ამოიწურება მხოლოდ ცილისმწამებლური პროპაგანდით, რომელმაც თავისი ტონით, თავისი ბინძური ხერხებით გადააჭარბა ყველაფერს, რაც კი ოდესმე გაუბედავთ ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის მტრებს. ჩინეთის ხელმძღვანელობა დაადგა პირდაპირი ანტისაბჭოთა მოქმედებისა და პროვოკაციების გზას. მათი მუდმივი ობიექტი გახდა საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩო. ამას წინათ საელჩოსთან მოაწყეს ახალი ბაკქანალია, რომელიც ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა და საელჩოს პერსონალს მუშაობის სრულიად აუტანელი პირობები შეუქმნა. ჩინეთის ხელისუფალნი ურცხვად თელავენ საერთაშორისო სამართლის არსებულ ნორმებსა და წესებს, რაც იშვიათად თუ ჩაუდენიათ ყველაზე რეაქციულ იმპერიალისტურ შთაირობებსაც კი.

ამ-ამად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამგვარი პროვოკაციების „გეოგრაფია“. მაო ძე-დუნი და მისი გარემოცვა აშკარად ცდილობენ შეასრულონ თავიანთი ავანტიურისტული მუქარა. რომ პოლიტიკური ხულიგნობის ხუნვეიბინურ მეთოდებს საერთაშორისო ასპარეზზე გადაიტანენ. ჩინეთის წარმომადგენლები, რომლებიც პეკინიდან მიღებული ინსტრუქციებით მოქმედებენ, ცდილობდნენ ანტისაბჭოთა დემონსტრაციები აეტეხათ ჰანოიში, პარიზში, ბაღდადში, ალჟირში, პნომ-პენსა და სხვა ქალაქებში. უფრო მეტიც, ერთ-ერთი პროვოკაციის ადგილად აირჩიეს მოსკოვი. მოსკოვში კი ყველა მშრომელისათვის ისეთი წმიდათა-წმიდა ადგილი, როგორიც არის წითელი მოედანი და ლენინის მავზოლეუმი.

უტიფარი მოქმედების სიას ყოველდღე ახალ-ახალი უხამსობა ემატება. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ფაქტები, როგორიც არის ხუნვეიბინთა გაუგონარი აღვირახსნილი მოქმედება პეკინის აეროდრომზე საბჭოთა მოქალაქეების ოჯახების სამშობლოში გამგზავრების დროს, ბოროტი გამოხდომები საბჭოთა რკინიგზელთა ბრიგადების წინააღმდეგ, რომლებიც ემსახურებიან მატარებლებს მოსკოვ-პეკინის ხაზზე. ჩინელთა მხრივ პროვოკაციებისა და შეურაცხყოფის ობიექტი ხდება საბჭოთა პერსონალი, რომელიც ჩინეთის გავლით ვიეტნამში მიდის, რათა დახმარება გაუწიოს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას.

ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელები ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს „ხალხია აღშფოთებული“, და ამისათვის ანტისაბჭოთა გამოხდომებში ითრევენ ათეულ ათასობით ადამიანს, რომლებსაც ატყუებენ მონაჭორით თითქოს „სსრ კავშირში სისხლისმღვრელი შეტაკებანი ხდება“, რასაც მაოს თანამზრახველნი თხზავენ. ამ მიზანს ემსახურება დღეს ჩინეთის მთელი პროპაგანდისტული მანქანის საქმიანობა. იგი დღითიდღე აღვიძებს ვნებებს მონაჭორებით, თითქოს მოსკოვში ჩინელ მოქალაქეებს „მხეცურად“ მოექცნენ, პირდაპირ აქეზებს. მოზრდილებსა და ახალგაზრდებს, წამოაყენა ლოზუნგი „სისხლი სისხლისა წილ“, იმუქრება, რომ „სისხლს აიღებს“. მაგრამ ხუნვეიბინთა და ძაოფანთა ზურგს ვერ ამოეფარებიან პროვოკაციების ნამდვილი ორგანიზატორები, რომლებიც კონტროლს უწევენ და წარმართავენ ახალგაზრდობის მოქმედებას და, რომლებსაც. მაშასადამე, ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა მათი მოქმედებისათვის.

• • •

მთელი მსოფლიოს ბევრ ადამიანს, რომლებიც თვალს ადევნებენ ჩინელ მოღვაწეთა მიერ გაჩაღებულ ანტისაბჭოთა კამპანიას, ვერ დაუჯერებია ის ფაქტი, რომ ამ კამპანიის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელნი ამჯერად არიან არა იმპერიალისტები, არა კაპიტალისტური სახელმწიფოები, არამედ პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ თავს კომუნისტებს უწოდებენ. ეს ფაქტი მართლაც რომ განსაცვიფრებელი და ძნელი დასაჯერებელია. მით უფრო საჭიროა გავერკვეთ პეკინის ამ საოცარი პარადოქსის მიზეზებში.

რას ლამობენ საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილის კამპანიის ორგანიზატორები?

ფაქტები მეტყველებენ, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს წარმართავენ ჩინეთის პოლიტიკას, მიზნად ისახავენ არა მარტო ჩაუნერგონ ჩინელ ხალხს მტრული სულისკვეთება სსრ კავშირისადმი, არამედ უკიდურესად გაამწვავონ კიდეც საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა და საბოლოო ანგარიშით საქმე ამ ურთიერთობის სრულ გაწყვეტამდე მიიყვანონ. მაგრამ მათ ეშინიათ პასუხისმგებლობისა ასეთი ნაბიჯის შედეგებისათვის, ვერ ბედავენ აშკარად მოქმედებას და ცდილობენ ურთიერთობა საბჭოთა კავშირს გააწყვეტინონ, რათა მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრიობა, მოატყუონ ჩინელი ხალხი, დაარწმუნონ იგი, რომ ჩვენი ქვეყნის და არა მაო ძე-დუნის ჯგუფის ბრალია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის გამწვავება. ამას გულისხმობდა, კერძოდ, ჯოუ ენ-ლაისა და ჩენ ის გამოსვლები ანტისაბჭოთა მიტინგზე, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა პეკინში.

ამასთან დაკავშირებით გვებადება მეორე კითხვაც: რათ სჭირდება მაო ძე-დუნის დაჯგუფებას ასეთი გამწვავება, რა მიზნებს ისახავს იგი? ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის მთელ ნაციონალისტურ, დიდმპყრობელურ პოლიტიკაში.

უკვე რამდენიმე წელია ცხადი გახდა, რომ ასეთი პოლიტიკა უცილობლად აშფოთებენ მაო ძე-დუნის ჯგუფს ურთიერთობას მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. დაადგა რა ნაციონალისტურ, დიდმპყრობელურ კურსს, ამ ჯგუფმა დაიწყო ბრძოლა, რათა თავისი ინტერესებისათვის დაემორჩილებინა სოციალისტური ბანაკი და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა, თავს მოეხვია მათთვის თავისი პოლიტიკური ხაზი, რომელიც ნიშნავს კავშირის გაწყვეტას, მარქსიზმ-ლენინიზმთან.

ჩვენი პარტიის მაღალმა საერთაშორისო ავტორიტეტმა, მისმა თანმიმდევრულმა ბრძოლამ კომუნისტურ მოძრაობაში ლენინური, თანასწორუფლებიანობისა და ძმობაზე დამყარებული ურთიერთობისათვის — აი რამ აიძულა ჩინეთის ლიდერები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიეჩნიათ თავიანთი დიდმპყრობელური მიზნების მიღწევის გზაზე. გასაგებია, რომ, ცდილობს რა დაუმორჩილოს სხვა სოციალისტური ქვეყნები, მოძმე პარტიები, მთელი რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის ნაციონალისტურ დიდმპყრობელურ ინტერესებს, ჩინეთის ხელმძღვანელობა იმედს ამყარებს იმაზე, რომ რადაც უნდა დაუჯდეს სახელი გაუტეხოს საბჭოთა კავშირს, ჩვენს ლენინურ პარტიას.

უეჭველია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის ანტისაბჭოთა პოლიტიკისა და პროპაგანდის ერთ-ერთი უშუალო მიზეზია მისწრაფება ჩამოაშორონ ჩინელი ხალხის ყურადღება ახლანდელ გაჭირვებასა და სიძნელეებს, მრავალ შეცდომასა და ჩავარდნას ჩინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ფაქტიურად აქ საქმე გვაქვს ყველა იმ უპრინციპო პოლიტიკანის ძველ, გაცვეთილ ხერხთან, რომლებიც მარცხდებიან. თუ საქმეები სულ უფრო უარესდება, თუ ერთიმეორის მიყოლებით იფუშება მათი პოლიტიკური აქციები, ასეთი ჯურის ადამიანები ერთადერთ გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ ყველაფერი გადააბრალონ „მტრებს“ — როგორც „შინაურ“, ისე, განსაკუთრებით, „გარეშე“ მტრებს. სწორედ ასეთი პრინციპით მოქმედებენ ახლა პეკინელი ლიდერებიც.

სულაც არ არის შემთხვევითი, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ პოლიტიკურ ომში მათ პირველი სროლა ატეხეს მას შემდეგვე, რაც ჩაიფუშა „დიდი ნახტომისა“ და „სახალხო კომუნების“ სახელგატეხილი კურსი. რაც უფრო მკაფიო ხდება საშინაო პოლიტიკის მარცხის მასშტაბები, რაც უფრო ცხადი ხდებოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის საგარეოპოლიტიკური ხაზის მარცხი, ხელმძღვანელობისა, რომელსაც ჩინეთი მიჰყავდა იზოლაციისაკენ, მით უფრო მძაფრდებოდა ანტისაბჭოთა კამპანია. რაც უფრო შორდებოდა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა მეცნიერული სოციალიზმის პრინციპებს, მით უფრო ხმამაღლა და დაჟინებით აცხადებდა პეკინის პროპაგანდა, რომ ასეთ ჩამოშორებას საბჭოთა კავშირი სჩადის, რომ ჩვენი ქვეყანა „რევოლუციის ინტერესებს ღალატობს“, „კაპიტალიზმის რესტავრაციას ეწევა“. მალე ჩინეთის პროპაგანდაში წმინდა ნაციონალისტური და რასისტული მოტივებიც კი გაისმა. წაუყენა რა ტერიტორიული პრეტენზიები საბჭოთა კავშირს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავდა კიდევ უფრო გაეღვივებინა შოვინისტური განწყობილება ჩინელ ხალხში. ცილისმწამებლურ პროპაგანდასთან ერთად სულ უფრო ხშირად სჩადიოდნენ ყოველგვარ ანტისაბჭოთა გამოხდომებსა და პროვოკაციებს. პეკინელ მმართველები ყოველი ღონით უქმნიან ჩინეთის ხალხს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს იგი ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იყოს მტრებით, და ცდილობენ შეაკავშირონ იგი ნაციონალისტურ საფუძველზე, სურთ მშრომელთა მასები ჩამოაშორონ ჩინეთის წინაშე მდგომ რეალურ პრობლემებს და გაამართლონ მაო ძე-დუნისა და მისი დამჭაშნიკის სამხედრო-ბიუროკრატიული დიქტატურა.

ბოლო დროს სულ უფრო გამოდის პირველ პლანზე პეკინის ანტისაბჭოთა პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოტივი. დღეს უკვე ნათელი გახდა იმ შინაპოლიტიკური კურსის აზრი, რომელსაც დაჟინებით და ჯიუტად ახორციელებენ მაო ძე-დუნი და მისი თანამოაზრენი. ფაქტიურად ეს არის ფრონტალური შეტევა ჩინელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა წინააღმდეგ, რის მსვლელობაშიც უსინდისოდ ამახინჯებენ და ფეხქვეშ თელავენ სოციალიზმის თვით იდეალებს. სწორედ იმისათვის, რომ შენიღბონ, „იდეოლოგიურად“ დაასაბუთონ ასეთი პოლიტიკა, პეკინელ მმართველებს დასჭირდათ ააფთრებით ესხმოდნენ თავს ამ ქვეყნებს, სადაც ნამდვილად შენდება სოციალიზმი, დასჭირდათ ცილისწამება იმ პარტიების მიმართ, რომლებიც ნამდვილად მისდევენ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, მეცნიერული კომუნიზმის იდეალებს. პარტიისა და ხალხის შიგნით დაძაბული ბრძოლის ვითარებაში მაო ძე-დუნის ჯგუფს ასეთი ცილისწამება დასჭირდა სწორედ ძალაუფლებისათვის საბრძოლველად. მაო ძე-დუნი ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას, თუ არ მიმართავდა ასეთ ცილისწამებას. კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი საბჭოთა კავშირში და სოციალიზმის მშენებლობის წარმატებანი სხვა ქვეყნებში ხომ თავისთავად ამხილებენ მის განდგომას, მისი პოლიტიკური ხაზის გაკოტრებას.

მაგალითად, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკონომიური ავანტიურების შედეგად, რომლებიც მაო ძე-დუნმა წამოიწყო, ჩინეთის ხელმძღვანელობამ არსებითად უარი თქვა ჩინეთის ეკონომიური განვითარების გეგმებზე, უარი თქვა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაზე და აშკარად უკუაგდო მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების კურსი. ამ პირობებში პეკინელმა მმართველებმა უკითხეს სხვა ვარიანტი მონახეს გარდა იმისა, რომ შეეცადნენ გაჭირვება სათნოებად გადაექციათ, ეკონომიური მშენებლობა, ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა საერთო „ანტისოციალისტურ“, „ბურჟუაზიულ“ საქმედ გამოაცხადეს. თეორიის დარგში ამ ვარსიის დასასაბუთებლად დიდი ზრუნვა არ დასჭირვებიათ — მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების წინააღმდეგ გამოიყენეს მაო ძე-დუნის ციტატების მორიგი გროვა („წარმოებაში ვიმსწრაფოდეთ მაღალ მაჩვენებლებს, ცხოვრებაში ვიცავდეთ დაბალ დონეს“, „სიღარიბე კარგია“, „საშინელებაა იმ დროზე თქმა, როცა ყველა ადამიანი მდიდარი იქნება“ და სხვ.). მაგრამ, რამდენადაც მსოფლიო სოციალიზმის პრაქტიკა მთლიანად ეწინააღმდეგება ასეთ დებულებებსა და წარმოდგენებს სოციალიზმის შესახებ, ჩინეთის ხელმძღვანელებმა ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მათი ბრძოლა ეკონომიური პროგრესისათვის, ხალხის ცხოვრების დონისა და კულტურის ამაღლებისათვის „რევიზიონიზმად“, „ეკონომიზმად“ და „კაპიტალიზმის რესტავრაციადაც“ კი გამოაცხადეს. რაც უფრო მასშტაბურია საბჭოთა კავშირის ეკონომიური წარმატებანი, რაც უფრო კარგია საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, მით უფრო ძლიერ აშინებთ მაო ძე-დუნსა და მის ჯგუფს თავიანთი განსაკუთრებული ხაზის ბედი, მით უფრო ძლიერია ოპოზიცია ამ ხაზის წინააღმდეგ თვით ჩინეთში. მაშასადამე, მით უფრო გააფთრებულია ცილისწამება სსრ კავშირის წინააღმდეგ, მით უფრო უგუნურია ანტისაბჭოთა პროვოკაციები.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა პრობლემებზეც, რომლებსაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები აწყდებიან. წააწყდნენ რა თავიანთი პოლიტიკის წინააღმდეგ მზარდ ოპოზიციას, მათ რეპრესიების, მასობრივი ანგარიშსწორების გააფთრებული კამპანია გააჩაღეს სხვადასხვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ. მაო ძე-დუნელთა წრის მაამებელი თეორეტიკოსები შეეცადნენ ნაციონალისტურ, დიდმპყრობელურ ინსტინქტებზე ითამაშონ, ამ ჯგუფმა დაიწყო ბრძოლა, რათა თავისი ინტერესებისათვის დაემორჩილებინა სოციალისტური ბანაკი და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა, თავს მოეხვია მათთვის თავისი პოლიტიკური ხაზი, რომელიც ნიშნავს კავშირის გაწყვეტას, მარქსიზმ-ლენინიზმთან.

ჩვენი პარტიის მაღალმა საერთაშორისო ავტორიტეტმა, მისმა თანმიმდევრულმა ბრძოლამ კომუნისტურ მოძრაობაში ლენინური, თანასწორუფლებიანობისა და ძმობაზე დამყარებული ურთიერთობისათვის — აი რამ აიძულა ჩინეთის ლიდერები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიეჩნიათ თავიანთი დიდმპყრობელური მიზნების მიღწევის გზაზე. გასაგებია, რომ, ცდილობს რა დაუმორჩილოს სხვა სოციალისტური ქვეყნები, მოძმე პარტიები, მთელი რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის ნაციონალისტურ დიდმპყრობელურ ინტერესებს, ჩინეთის ხელმძღვანელობა იმედს ამყარებს იმაზე, რომ რადაც უნდა დაუჯდეს სახელი გაუტეხოს საბჭოთა კავშირს, ჩვენს ლენინურ პარტიას.

უეჭველია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის ანტისაბჭოთა პოლიტიკისა და პროპაგანდის ერთ-ერთი უშუალო მიზეზია მისწრაფება ჩამოაშორონ ჩინელი ხალხის ყურადღება ახლანდელ გაჭირვებასა და სიძნელეებს, მრავალ შეცდომასა და ჩავარდნას ჩინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ფაქტიურად აქ საქმე გვაქვს ყველა იმ უპრინციპო პოლიტიკანის ძველ, გაცვეთილ ხერხთან, რომლებიც მარცხდებიან. თუ საქმეები სულ უფრო უარესდება, თუ ერთიმეორის მიყოლებით იფუშება მათი პოლიტიკური აქციები, ასეთი ჯურის ადამიანები ერთადერთ გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ ყველაფერი გადააბრალონ „მტრებს“ — როგორც „შინაურ“, ისე, განსაკუთრებით, „გარეშე“ მტრებს. სწორედ ასეთი პრინციპით მოქმედებენ ახლა პეკინელი ლიდერებიც.

სულაც არ არის შემთხვევითი, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ პოლიტიკურ ომში მათ პირველი სროლა ატეხეს მას შემდეგვე, რაც ჩაიფუშა „დიდი ნახტომისა“ და „სახალხო კომუნების“ სახელგატეხილი კურსი. რაც უფრო მკაფიო ხდება საშინაო პოლიტიკის მარცხის მასშტაბები, რაც უფრო ცხადი ხდებოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის საგარეოპოლიტიკური ხაზის მარცხი, ხელმძღვანელობისა, რომელსაც ჩინეთი მიჰყავდა იზოლაციისაკენ, მით უფრო მძაფრდებოდა ანტისაბჭოთა კამპანია. რაც უფრო შორდებოდა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა მეცნიერული სოციალიზმის პრინციპებს, მით უფრო ხმამაღლა და დაჟინებით აცხადებდა პეკინის პროპაგანდა, რომ ასეთ ჩამოშორებას საბჭოთა კავშირი სჩადის, რომ ჩვენი ქვეყანა „რევოლუციის ინტერესებს ღალატობს“, „კაპიტალიზმის რესტავრაციას ეწევა“. მალე ჩინეთის პროპაგანდაში წმინდა ნაციონალისტური და რასისტული მოტივებიც კი გაისმა. წაუყენა რა ტერიტორიული პრეტენზიები საბჭოთა კავშირს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავდა კიდევ უფრო გაეღვივებინა შოვინისტური განწყობილება ჩინელ ხალხში. ცილისმწამებლურ პროპაგანდასთან ერთად სულ უფრო ხშირად სჩადიოდნენ ყოველგვარ ანტისაბჭოთა გამოხდომებსა და პროვოკაციებს. პეკინელ მმართველები ყოველი ღონით უქმნიან ჩინეთის ხალხს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს იგი ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იყოს მტრებით, და ცდილობენ შეაკავშირონ იგი ნაციონალისტურ საფუძველზე, სურთ მშრომელთა მასები ჩამოაშორონ ჩინეთის წინაშე მდგომ რეალურ პრობლემებს და გაამართლონ მაო ძე-დუნისა და მისი დამჭაშნიკის სამხედრო-ბიუროკრატიული დიქტატურა.

ბოლო დროს სულ უფრო გამოდის პირველ პლანზე პეკინის ანტისაბჭოთა პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოტივი. დღეს უკვე ნათელი გახდა იმ შინაპოლიტიკური კურსის აზრი, რომელსაც დაჟინებით და ჯიუტად ახორციელებენ მაო ძე-დუნი და მისი თანამოაზრენი. ფაქტიურად ეს არის ფრონტალური შეტევა ჩინელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა წინააღმდეგ, რის მსვლელობაშიც უსინდისოდ ამახინჯებენ და ფეხქვეშ თელავენ სოციალიზმის თვით იდეალებს. სწორედ იმისათვის, რომ შენიღბონ, „იდეოლოგიურად“ დაასაბუთონ ასეთი პოლიტიკა, პეკინელ მმართველებს დასჭირდათ ააფთრებით ესხმოდნენ თავს ამ ქვეყნებს, სადაც ნამდვილად შენდება სოციალიზმი, დასჭირდათ ცილისწამება იმ პარტიების მიმართ, რომლებიც ნამდვილად მისდევენ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, მეცნიერული კომუნიზმის იდეალებს. პარტიისა და ხალხის შიგნით დაძაბული ბრძოლის ვითარებაში მაო ძე-დუნის ჯგუფს ასეთი ცილისწამება დასჭირდა სწორედ ძალაუფლებისათვის საბრძოლველად. მაო ძე-დუნი ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას, თუ არ მიმართავდა ასეთ ცილისწამებას. კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი საბჭოთა კავშირში და სოციალიზმის მშენებლობის წარმატებანი სხვა ქვეყნებში ხომ თავისთავად ამხილებენ მის განდგომას, მისი პოლიტიკური ხაზის გაკოტრებას.

მაგალითად, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკონომიური ავანტიურების შედეგად, რომლებიც მაო ძე-დუნმა წამოიწყო, ჩინეთის ხელმძღვანელობამ არსებითად უარი თქვა ჩინეთის ეკონომიური განვითარების გეგმებზე, უარი თქვა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაზე და აშკარად უკუაგდო მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების კურსი. ამ პირობებში პეკინელმა მმართველებმა უკითხეს სხვა ვარიანტი მონახეს გარდა იმისა, რომ შეეცადნენ გაჭირვება სათნოებად გადაექციათ, ეკონომიური მშენებლობა, ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა საერთო „ანტისოციალისტურ“, „ბურჟუაზიულ“ საქმედ გამოაცხადეს. თეორიის დარგში ამ ვარსიის დასასაბუთებლად დიდი ზრუნვა არ დასჭირვებიათ — მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების წინააღმდეგ გამოიყენეს მაო ძე-დუნის ციტატების მორიგი გროვა („წარმოებაში ვიმსწრაფოდეთ მაღალ მაჩვენებლებს, ცხოვრებაში ვიცავდეთ დაბალ დონეს“, „სიღარიბე კარგია“, „საშინელებაა იმ დროზე თქმა, როცა ყველა ადამიანი მდიდარი იქნება“ და სხვ.). მაგრამ, რამდენადაც მსოფლიო სოციალიზმის პრაქტიკა მთლიანად ეწინააღმდეგება ასეთ დებულებებსა და წარმოდგენებს სოციალიზმის შესახებ, ჩინეთის ხელმძღვანელებმა ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მათი ბრძოლა ეკონომიური პროგრესისათვის, ხალხის ცხოვრების დონისა და კულტურის ამაღლებისათვის „რევიზიონიზმად“, „ეკონომიზმად“ და „კაპიტალიზმის რესტავრაციადაც“ კი გამოაცხადეს. რაც უფრო მასშტაბურია საბჭოთა კავშირის ეკონომიური წარმატებანი, რაც უფრო კარგია საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, მით უფრო ძლიერ აშინებთ მაო ძე-დუნსა და მის ჯგუფს თავიანთი განსაკუთრებული ხაზის ბედი, მით უფრო ძლიერია ოპოზიცია ამ ხაზის წინააღმდეგ თვით ჩინეთში. მაშასადამე, მით უფრო გააფთრებულია ცილისწამება სსრ კავშირის წინააღმდეგ, მით უფრო უგუნურია ანტისაბჭოთა პროვოკაციები.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა პრობლემებზეც, რომლებსაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები აწყდებიან. წააწყდნენ რა თავიანთი პოლიტიკის წინააღმდეგ მზარდ ოპოზიციას, მათ რეპრესიების, მასობრივი ანგარიშსწორების გააფთრებული კამპანია გააჩაღეს სხვადასხვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ. მაო ძე-დუნელთა წრის მაამებელი თეორეტიკოსები შეეცადნენ ნაციონალისტურ, დიდმპყრობელურ ინსტინქტებზე ითამაშონ, ამ ჯგუფმა დაიწყო ბრძოლა, რათა თავისი ინტერესებისათვის დაემორჩილებინა სოციალისტური ბანაკი და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა, თავს მოეხვია მათთვის თავისი პოლიტიკური ხაზი, რომელიც ნიშნავს კავშირის გაწყვეტას, მარქსიზმ-ლენინიზმთან.

ჩვენი პარტიის მაღალმა საერთაშორისო ავტორიტეტმა, მისმა თანმიმდევრულმა ბრძოლამ კომუნისტურ მოძრაობაში ლენინური, თანასწორუფლებიანობისა და ძმობაზე დამყარებული ურთიერთობისათვის — აი რამ აიძულა ჩინეთის ლიდერები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიეჩნიათ თავიანთი დიდმპყრობელური მიზნების მიღწევის გზაზე. გასაგებია, რომ, ცდილობს რა დ

მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის ანჯისაგჭოთა პოლიტიკის შესახებ

(დასასრული)

ბას ასხამს, ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რამდენად ეწინააღმდეგება მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის საშინაო და საგარეო პოლიტიკა სოციალიზმის ინტერესებს, რევოლუციის ინტერესებს, და რამდენად ხელსაყრელია იმპერიალიზმისათვის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმისათვის.

• • •

უკანასკნელი ამბები კიდევ ერთხელ დასტურებენ ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მაღალ პოლიტიკურ სიმწიფესა და თავდაჭერას. ამ ამბებმა კვლავ ცხადყვეს ჩვენი ხალხის მაღალი ინტერნაციონალისტური თვისებები, რომელიც გულისტკივილით აღიქვამს ჩინეთის ახლანდელ ამბებს, გულწრფელად თანაუგრძნობს ჩინელ ხალხს, ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, რომლებიც ახლა ასეთ ტრაგედიას განიცდიან.

ამასთან ერთად უკანასკნელმა ამბებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელი ერთსულოვნად უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხაზს, ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საკადრისი პასუხი გასცენ გამთიშველებსა და პროვოკატორებს.

ამ დღეებში საბჭოთა ადამიანების გული აღსავსეა მრისხანებითა და სამართლიანი აღშფოთებით. ქალაქებსა და სოფლებში გამართულ მიტინგებზე საბჭოთა ადამიანები მტკიცედ აფრთხილებენ ჩინელ პროვოკატორებს. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს თავისი მთავრობის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია 4 და 9 თებერვლის განცხადებებში, სადაც პრინციპულად შეფასებულია ჩინეთის ხელისუფალთა უკანასკნელი მოქმედება.

თუ მაო ძე-დუნის ჯგუფი ჯიუტად განაგრძობს ანტისაბჭოთა პოლიტიკას, ამით იგი მხოლოდ უფრო გამომაქცევნებს თავისი დაცემის სილრმეს, ცხადყოფს, თუ რამდენად სერიოზულია მისი პოლიტიკური გადაგვარება. დღითიდღე ძლიერდება მაო ძე-დუნის დაჯგუფების საერთაშორისო იზოლაცია. იზრდება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, ყველა ქვეყნის პატიოსან ადამიანთა აღშფოთება პეკინის ავანტიურისტული კურსის, მისი ანტისაბჭოთა პოზიციის გამო.

ეჭვი არ არის, რომ მაო ძე-დუნის დაჯგუფება ვერ შეძლებს ფასაკრულოდ ატყუებდეს ჩინელ ხალხს, ჩინელ კომუნისტებს. როგორც ეს სამართლიანად აღნიშნეს მოსკოველმა მუშებმა ჩინეთის მოსკოვის საელჩოსათვის გაგზავნილ საპროტესტო რეზოლუციაში, „ჩინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისათვის ძირისგამომთხრელი, სამარცხვინო, დანაშაულებრივი მოქმედებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ჩინელი ხალხისა და ჩინელი კომუნისტების წინაშე, მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე დაეკისრება მაო ძე-დუნს და მის ხროვას".

ახლა მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა სვამს კითხვას: რა გზას დაადგება მაო ძე-დუნის ჯგუფი?

ყველა ნიშანია, რომ იგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ამზადებს შემდგომი ავანტიურისტული მოქმედებისათვის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში, არ გამორიცხავს აგრეთვე ახალ პროვოკაციებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაო ძე-დუნის ჯგუფი, რომელმაც იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად დაიწყო ბრძოლა სოციალისტური საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის წინააღმდეგ, საერთაშორისო კომუნისტური და განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, დიდ ზიანს აყენებს მსოფლიო სოციალიზმის საქმეს და თვით ჩინელ ხალხსაც. ჩინეთში სოციალიზმის აშენების საქმეს. ამ ჯგუფის ანტილენინური, ავანტიურისტული პოლიტიკა ჩინელ ხალხს უსახავს მარტო იმ პერსპექტივას, რომ კიდევ უფრო გაიზრდება ეკონომიური სიძნელენი, დაბლა დაიწევს ცხოვრების დონე, გამწვავდება საერთაშორისო ვითარება და ჩინეთი სავსებით ჩამოშორდება სოციალისტურ თანამეგობრობას.

მაგრამ ობიექტურად ჩინელ ხალხს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩინეთის კომპარტიას სხვა პერსპექტივა აქვთ. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და საბჭოთა კავშირთან, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან და კომუნისტურ პარტიასთან ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივა, სოციალისტური თანამეგობრობის რიგებში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის პერსპექტივა, ეკონომიკის აღმავლობის და სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში დაშვებული შეცდომების გამოსწორების და ამ საფუძველზე ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პერსპექტივა, ჩინეთის კომპარტიის ცხოვრებაში მარქსისტულ-ლენინური ნორმების დამკვიდრებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების დამყარების პერსპექტივა, სხვანაირად რომ ვთქვათ, პერსპექტივა იმ გზით განვითარებისა, რომელიც დასახეს ჩინეთის კომპარტიის VIII ყრილობამ, კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო ვითარება და ჩინეთი სავსებით ჩამოშორდება სოციალისტურ თანამეგობრობას.

ამ გზით ადამიანური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც ორასამდე მშობელი ჩაირიცხა. ლექტორებად დამტკიცებულ არიან გამოცდილი მასწავლებლები: მ. დვალი, შ. ჯიბუაძაძე, ლ. გაგბაშიძე, რ. ხაჩიძე, კ. სხირტლაძე, შ. ტყეშელაძე, ვ. ლომაძე, მ. გაგოშიძე. ლექციებს ჩაატარებენ აგრეთვე თბილისიდან მოწვეული გამოჩენილი სპეციალისტები. (ს. ძოჩაკიძე).

⊙ ქედა. დანდალოს სოფლის კლუბში (გამგე გ. ბერიძე) ემზადებიან ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო თარიღისათვის. კლუბში ხშირად იმართება საუბრები, კონფერენციები, საღამოები. დრამატულმა წრემ მოამზადა და მაყურებელს უჩვენა პიესა „ახალგაზრდობა იმარჯვებს". ეს პიესა დანდალოს მეზობელ სოფლებშიც უჩვენეს. (შ. ანანიძე).



ახალი ამბები

ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი

ცაგერი. (საკ. კორ.). სოფელ ჩქუმში ყველა იცნობს ახალგაზრდა ცოლქმარს ნათელა და ნოდარ ლიპარტელიანებს. მათ ერთადერთი გოგონა ჰყავდათ. ამას წინათ ნათელა სამშობიარო სახლში წაიყვანეს. ახალგაზრდა დედას სამი ვაჟი შეეძინა.

ახალშობილებს შ. რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" გმირების სახელები — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი დაარქვეს.

პატარები თავს კარგად გრძნობენ და ნორმალურად ვითარდებიან.

მოკლედ ყველაფერზე

⊙ ოსნი. (საკ. კორ.). მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ ქსელს კიდევ ერთი სიახლე შეეძატა. ქალაქ ოსნი გაიხსნა მსუბუქი ტიპის კომბინირებული პავილიონი. პავილიონს აქვს მამაკაცის ტანსაცმელის სამკერვალო, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო და სპარეკმახერო.

⊙ ლაგოდეხი. ლაგოდეხში შეიქმნა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც ორასამდე მშობელი ჩაირიცხა. ლექტორებად დამტკიცებულ არიან გამოცდილი მასწავლებლები: მ. დვალი, შ. ჯიბუაძაძე, ლ. გაგბაშიძე, რ. ხაჩიძე, კ. სხირტლაძე, შ. ტყეშელაძე, ვ. ლომაძე, მ. გაგოშიძე. ლექციებს ჩაატარებენ აგრეთვე თბილისიდან მოწვეული გამოჩენილი სპეციალისტები. (ს. ძოჩაკიძე).

იტალიის გამოფენა თბილისში

ბევრი ხალხია ამ დღეებში საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, სამრეწველო საწარმოთა სპეციალისტები, მეცნიერების, ტექნიკისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები მოდიან აქ, რათა დაათვალიერონ იტალიური ფირმა „ჯიმპექსის" მიერ მოწყობილი გამოფენა. ჩვენმა სტუმრებმა, საქართველოში ჩამოტანეს ჩარხები და ელექტრონული მოწყობილობანი. შენობის ფასადზე, სადაც გამოფენილია იტალიური ფირმების ნახელავი, ფრიალებს იტალიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სხრ ალმები.

გამოფენის გახსნისას საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარეშ რ. ელიგულაშვილმა რწმენა გამოთქვა, რომ იტალიის გამოფენა, რომელიც რესპუბლიკაში პირველია, მიიპყრობს ქართველი სპეციალისტების ყურადღებას და ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. სტუმრებს მიეხალმა საქართველოს სხრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. მიქელაძე.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა „ჯიმპექსის" ხელმძღვანელმა ეუჯენიო ბენედეტომ. სხრ კავშირის, საქართველოს სხ რესპუბლიკისა და იტალიის ეროვნული ალმები, თქვა მან, პირველად ფრიალებს ჰარმონიულად თბილისის ცის ქვეშ მეგობრული გრძნობების აღსანიშნავად. ჩვენი გამოფენა სიმბოლოა იტალიელთა მეგობრობისა და ნდობისა საბჭოთა კავშირისადმი.

ჩვენი გამოფენის მიზანია, — განაცხადა დახასრულ სენიორ ბენედეტომ, — ხელი შეუწყოს იმ ახალ დიალოგს, რომელიც ახლა წარმოებს ორ ქვეყანას შორის არა მარტო სიტყვით, არამედ კონკრეტული საქმეებითაც, რათა განვამტკიცოთ იტალიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა.

სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ე. პიტოვრანოვმა გადაჭრა ლენტი იმ პავილიონის შესახვლელთან, სადაც იტალიის გამოფენის ექსპოზიციაა. გამოფენაში მონაწილეობს იტალიის 10 ფირმა, რომელთა სახელით „ჯიმპექსი" გამოდის. მათ წარმოადგინეს 130-მდე ჩარხი და სხვადასხვა ელექტრონული მანქანა.

„ცოკის", „ინინის", „სეკმუს", „ჯდ"-ს, „კოპიერის", „ფრანჩესკო ლონატის" და სხვა ფირმები აჩვენებენ ავტომატურ სახეხ ჩარხებს, მბრუნავ წინდასაქსოვ მანქანას, კაუჩუტის დასაფასოებელ ავტომატებს და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა სამედიცინო მოწყობილობა. გამოფენაზე წარმოდგენილია ელექტრონული მართვის დანადგარი, რომელიც ერთდროულად კონტროლს უწევს რვა პაციენტის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას და იძლევა მათზე გულმოდგინე დაკვირვების შესაძლებლობას, აგრეთვე ელექტროკარდიოგრაფები, პოლიფიზიოგრაფები, ოსცილოგრაფები, ოსცილოსკოპები და სხვ.

გამოფენა 27 თებერვლამდე გახტანს.

გ. ხარაიძე.

სურათზე: იტალიური ჩარხებიხ და ელექტრომოწყობილობიხ მე მარცხნიდან) აცნობს დამსწრეებს იტალიურ მანქანებს. გამოფენაზე თბილისში. ტექნიკოსი მაზი დინო (მესაფოტო ხ. კილაძისა.

ქარლ მარქსის შვილიშვილის მეგობარი

წარმატებით ახორციელებს რა მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეებს, საბჭოთა ხალხი სათუთად აგროვებს და ინახავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია მათ სახელთან. უწყვეტ ნაკადად მიედინან დამთვალიერებლნი მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმში.

წერილში, რომელიც 1859 წლის 12 დეკემბერს მისწერა ფ. ენგელსს, კარლ მარქსი წერდა:

„ჟენიმ საჩუქრად მოგიმზადა რაფაელის მადონას კოპია... ცოტა ხნის შემდეგ მარქსის მეუღლე სწერდა:

„ჟენის ხატვის განსაკუთრებული ნიჭი აქვს და ჩვენი ოთახების მშვენებაა მისი ფანქრით ნახატები".

ამ წერილებში ლაპარაკია მარქსის უფროს ქალაშვილზე — ჟენიზე. დღეს, თერთმეტ თებერვალს, მისმა შვილიშვილმა — საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოსულმა ფრანგმა მხატვარმა ფრედერიკ ლონგემ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჩუქრად უძღვნა უძვირფასესი რელიკვიები, მათ შორის ჟენის ზოგიერთი ნახატი, კერძოდ, რაფაელის „მადონას" კოპია — ნაჩუქარ რელიკვიებს შორის არის მარქსის ოჯახისეული ფოტოსურათები, ალბომი პოლ ლაფარგის — საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, კ. მარქსის სიძის ავტოგრაფით, მარქსის უფროსი ქალიშვილის ჟენისა და მისი ქმრის შარლ ლონგეს — ფრანგი სოციალისტის, პარიზის კომუნის მონაწილის დოკუმენტები და პირადი ნივთები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთავეს ბ. ნ. პონომარიოვს ფრედერიკ ლონგემ უთხრა: ძალიან კმაყოფილი ვართ იმით, რომ ეს მასალები მოსკოვის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმის ექსპოზიციას გადაეცემა. ყოველ ღონეს ვიხმარ, თქვა მან, რომ გავამდიდრო ეს მუზეუმი, რომელთანაც დაარსების ღიდანვე უაღრესად მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

ლაპარაკობს „ენამთა"

ყითელწყაროს. (საკ. კორ.). ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი) მეცხოველეობის ფერმებს, რომლებიც „ენამთაშია" განლაგებული, ათასობით სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ღორი ჰყავთ. მეცხოველეთა დაბაში ხალისიანი შრომაა გაჩაღებული. მწველავი ზაირა ალხანიშვილი, მეღორე გოდერძი ჯანაშვილი თუ სხვები სასახელოდ შრომობენ. ბეჯით შრომას შედეგიც სასიხარულო მოსდევს. ჯაფარიძეულებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დაკვლება უკვე გადამეტებით შეასრულეს.

ამ დღეებში მეცხოველეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. „ენამთაში" მოეწყო რადიოკვანძი, საიდანაც რადიოგადაცემები ყოველდღიურად ეწყობა. მეძროხეებმა თუ მეღორეებმა უკვე მოისმინეს გადაცემები თემებზე „დაფერგოთ მოწინააღ მეცხოველეთა გამოცდილება", „ახალი, სასახელო წარმატებანი მივუძღვნათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს" და სხვ. მეცხოველეები რადიოთი ყოველდღიურად ისმენენ თავიანთი მუშაობის წინადღის შედეგებს. რადიოკვანძი ყველას აცნობს, თუ ვინ დაწინაურდა და ვინ ჩამორჩა. სპეციალური გადაცემა მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

რადიოკვანძი მოეწყო აგრეთვე შირაქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" №2

გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მე-2 ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია — „მიღწევები და ამოცანები" (მოწონავე), **ი. ხოხლოვი** — „საამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის აქტუალური საკითხები", **ო. ხუციშვილი** — „ჟურჟანელ მექანიზატორებთან", **პ. კაკურავა** — „ნიადაგის დამუშავება ხეხილის ბაღში", **ი. მესტვირიშვილი** — „მოვაცხოთ ენინგრადის სმენჯრა", **ვ. კურტანიძე** — „რენტაბელობის გადიდების რეზერვები", **დ. ცხომარია** — „მეტი ყურადღება საგაზაფხულო მაგარ ხორბალს", **გ. ქიშელაშვილი** — „სარეველებთან ბრძოლა სამემოდგომო ნათესებში", **შ. თათარაშვილი** — „სასოფლო მშენებლობანი ახალ ხუთწლედში", **გ. გობეჯიშვილი** — „რა უნდა გავითვალისწინოთ კოლმეურნეობის საწარმო-საფინანსო გეგმის შედგენისას", **გ. ხარანაშვილი** — „ასე გავაშენოთ ქარსაფარი ზოლები", **გ. ლუარსაბიშვილი** — „ტეტიცკ საკვები ბაზა — მეცხოველეობას", **ვ. მამათელაშვილი, პ. ბოლქვაძე, ფ. კვაშალი** — „რძის შემცველი", **ხ. გაბისონია** — „ასე გავზარდეთ წველადობა", **ი. მოსაშვილი** — „მეცხვარეთა დიდი საზრუნავი", **ნ. გოცირიძე** — „მეძროხეობის მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში", **ი. ხუციშვილი** — „მთავარი მაინც საკვებია", **გ. კაპატაძე, პ. ნასყიდაშვილი** — „ამაგდარი მეცნიერი".

ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე სასარგებლო რჩევა-დარიგებანი სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის და სხვა საინტერესო მასალები.

წარუმატებლობა სტარტზე

„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:1 (0:0). თბილისი. 16 თებერვალი. „დინამოს" სტადიონი. მსაჯი — ლ. სარჭისოვი (სოჭი).

„დინამო" — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, გუტიეკაძე, ხართიშვილი (ილიადი), ნოდია, ბარქაია, ასათიანი (დათუნაშვილი), მესხი; „ლოკომოტივი" — პოლიაკოვი, ბასალოვი, პრუდნიკოვი, კოჩეტოვი, როდიონოვი, უსატორე, ორეშნიკოვი, დავიდოვი, შელუდკო, პეტროვი, კოროტკოვი.

სეზონის პირველ მატჩს თბილისში ყოველთვის დიდძალი მაყურებელი ესწრებ. ახე იყო გუშინაც, ადგილობრივ „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" შეხვედრის დღეს. ცხადია, სტარტზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ამიტომ ორივე გუნდი ავრესიული ბრძოლისათვის იყო განწყობილი.

ტემპი თავიდანვე მაღალი აღმოჩნდა. დასაწყისში დინამოელებს მეტი ხაგოლო მომენტები ჰქონდათ, ვიდრე მოსკოველებს, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ გამოიყენეს. შეტმდეგ ინიციატივა სტუმრებმა იგდეს ხელთ. ისინი მოქმედებდნენ ურთიერთგაგებით, მთელი დატვირთვით, ხახიფათოდ. დაახლოებით ახეთ ორმხრივ ბრძოლაში განვლო 45-მა წუთმა, კარები კი აუღებელი დარჩა — 0:0.

მეორე ნახევარში სურათი მკვეთრად შეიცვალა, ლოკომოტიველები მოქმედებდნენ გაბედულად, მწვავედ. სულ უფრო მეტ საფრთხეში იყო კოტრიკაძის კარი. მე-11 წუთზე ხუმრებს ერთერთმა კომბინაციამ სასურველი შედეგი მოუტანა — ცენტრფორვარდმა **შელუდკომ** ანგარიში გახსნა. 4 წუთის შემდეგ მასვე შესაძლებლობა ჰქონდა, მეორეჯერ აეღო დინამოელთა კარი, მაგრამ ბუთი ძელს მოხვდა.

საქმეს ვერც ხართიშვილისა და ასათიანის შეცვლამ უშველა. მათ მაგივრად მოედანზე გამოსულ ილიადსა და დათუნაშვილს ბრძოლაში გარდატეხა არ შეუტანიათ. უკანასკნელი წუთები სტუმართა უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა, „ლოკომოტივმა" გაიმარჯვა 1:0.

სამარყანდში, ადლერსა და დუშანბეში

გუშინ გაიმართა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის გათამაშების კიდევ სამი შეხვედრა ფეხბურთში.

სამარყანდში თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. მატჩის შედეგი ფრე 1:1.

ადლერში პაექრობა ჰქონდათ მოსკოვის „ტორპედოსა" და ლუგანსკის „ზარიას." ფეხბურთელთა კოლექტივებს შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

დუშანბეში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი შეხვდა ადგილობრივ „ენერგეტიკს" და გაიმარჯვა 1:0.

მოსკოვის კორტებზე

არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის სასახლეში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელთა ზამთრის ტურნირი. წყვილთა პირველი წრის შეხვედრების შემდეგ ბრძოლაში რჩებნენ მეოთხედფინალისტი ქალები და ვაჟები.

ვაჟთა შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო გამოდგა **მოზერიხა** და **სივოხინის** შეხვედრა, რომელიც ოთხ სეტს გრძელდებოდა. წარმატება მოზერს ხვდა ანგარიშით 13:15, 8:6, 13:11, 7:5 და ნახევარფინალში გავიდა.

თუ გინ იქნებოდა მისი მეტოქე, ეს უნდა გამოეკვლიენინა სსრ კავშირის ჩემპიონის **მეტრეველისა** და **კაკულიას** ორთაბრძოლას. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მეტრეველს ხვდა. ამრიგად, ერთ-ერთ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან **მეტრეველი** და **მოზერი.** ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონის **ლეიუსისა** და **ივანოვის** მატჩი **ლეიუსის** უპირატესობით წარმართა და დამთავრდა მისივე გამარჯვებით 6:2, 6:3, 6:3.

ირანაკლეტ საინტერესო იყო ქალთა მატჩები. მას შემდეგ, რაც **ტარანოვამ** დამარცხა ექს-ჩემპიონი **სიმსონი,** პაექრობა ჰქონდა **ულლთან,** მოიგო შეხვედრა 6:1, 7:5 და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს აგრეთვე **ბაკშეევამ** და **დმიტრიევამ.** პირველმა მოუგო **კიცის** 6:1, 6:0, მეორემ — **აბუანდაძეს** 6:1, 6:2.

ასპარეზობენ ფრენგურთელები

ბრძოლდება შეჯიბრება ფრენბურთში ევროპის ჩემპიონთა თასზე. საბჭოთა კავშირიდან ასპარეზობაში მონაწილეობენ მოსკოვის „დინამოსა" და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ქალთა გუნდები.

ახლა მეტოქეები ატარებენ მეოთხედფინალურ შეხვედრებს. პირველი ასეთი მატჩი მოსკოვის „დინამოს" ჰქონდა გუშინ ვარშავაში პოლონეთის ჩემპიონთან აზფსთან. დინამოელები ალმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. ეს გუნდები კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად მოსკოვში. განმეორებითი მატჩი დანიშნულია 5 მარტისათვის.

ბრძოლაში ებმება აგრეთვე არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფრენბურთელთა კოლექტივი. მისი მოწინააღმდეგე იქნება რუმინეთის ჩემპიონი. პირველი მატჩი გაიმართება 28 თებერვალს ბუქარესტში.

სპორტული ქრონიკა

□ ფინეთში გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ბურთიან ჰოკეიში. გუშინ ყურადღების ცენტრში იდგა სსრ კავშირის ნაკრებისა და ფინეთის გუნდების შეხვედრა. შეუპოვარი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1.

□ თბილისში გრძელდება საქალაქო პირველობა ჭადრაკში. ქალთა შორის ბუი ტურის შემდეგ ნინ არიან მანველოვა და შულმანი, რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ. ვაჟთა შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ოსტატობის კანდიდატები მაჰაკიანი, ციხელაშვილი და ჯანოევი (სამნახევარ-სამნახევარი ქულა).

□ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ უკანასკნელ წლებში მოამზადებული წარმატებებისათვის თბილისელ ახალგაზრდა მოჭადრაკეს თ. ბეიერბაძეს ოსტატის წოდება მიანიჭა.

□ ვალე ვენაში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი ბაიბალ ჰოკეიში. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ იტალია, ბელგია და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მონაწილეობას ვერ მიიღებენ პირველობაში. მათ უკან წაიღეს განცხადები.

□ ბრასნოიარსკში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება მოტორბოლაში ყინულზე 175 კუბური სანტიმეტრის მანქანებით. წარმატებით გამოვიდა კრასნოიარსკელი სპორტსმენი ვიბალი ზავიდიუკი, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 26 თებერვალს, 26 მარტს, 23 აპრილს, 21 მაისს, 11 ივნისს თბილისში: 12 მარტს, 30 აპრილს, 4 ივნისს ახალციხეში; 12 მარტს, 16 აპრილს, 28 მაისს წნორას, ხოლო 5 მარტს, 9 აპრილს, 14 მაისს რუსთავის საკონსულტაციო პუნქტებში დანიშნულია მომზადებული ლექციები და კონსულტაციები.

მომზადებული ლექციები და კონსულტაციები მოეწყობა თბილისში — **ინსტიტუტის შენობაში** (ა. ჭავჭავაძის პრ. № 32), **ახალციხეში** — **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობაში, წნორში** — **ქართული საშუალო სკოლის შენობაში, რუსთავში** — **მუშა-ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის შენობაში** (კოლექტივიზაციის ქ. № 10). **მეცადინეობის განრიგის მიღება შეიძლება საკონსულტაციო პუნქტებში.**

მომზადებული ლექციები და კონსულტაციები დაიწყება: თბილისში — 10 საათიდან, საკონსულტაციო პუნქტებში — 11 საათიდან.

ამავე დღეებში თბილისის პუნქტში ცხრილით გათვალისწინებულ დისციპლინებში გამოცდები იწარმოებს ზაფხულის (მომავალი) და ზამთრის (დავალიანება) სასესიო საგნებში.

სტუდენტები, რომლებიც ზამთრის სასესიო საგნებს არ ჩაბარებენ 1-ლ მაისამდე, ზაფხულის სასწავლო-საგამოცდო სესიაზე არ დაიშვებიან.

შენიშვნა: 1. გასული სემესტრის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებისაგან გამოცდებს ჩაბარებენ ინსტიტუტის შენობაში მხოლოდ ორშაბათობით, დღის 1 საათიდან. 2. გადატანილი სასესიო გამოცდები მოეწყობა სასკოლო არდადეგების პერიოდში (25 მარტიდან 30 მარტამდე). 3. IV კურსის სტუდენტებმა (არა მასწავლებლები) პედპრაქტიკა უნდა გაიარონ ქ. თბილისში წარმოებისგან მოწყვეტით, რისთვისაც ინსტიტუტში უნდა გამოცხადდნენ 3 აპრილს.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება

სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 19 თებერვალს, 5 მარტს, 16 აპრილს და 21 მაისს ქუთაისის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტში; 26 თებერვალს, 12 მარტს, 2 აპრილს და 14 მაისს ზესტაფონის საკონსულტაციო პუნქტში დანიშნულია კონსულტაციები.

კონსულტაციები მოეწყობა ქუთაისში პედინსტიტუტისა და ზესტაფონში მეორე საშუალო სკოლის შენობებში სტუდენტთათვის დაგზავნილი ცხრილების მიხედვით. ცხრილების გაცნობა შეიძლება საკონსულტაციო პუნქტების გამგეებთანაც.

კონსულტაციები დაიწყება ქუთაისში 10 საათიდან, ხოლო ზესტაფონის საკონსულტაციო პუნქტში — 11 საათიდან.

ამავე დღეებში ქუთაისის პუნქტში ცხრილით გათვალისწინებულ დისციპლინებში გამოცდები იწარმოებს ზაფხულის (მომავალი) და ზამთრის (დავალიანება) სასესიო საგნებში.

სტუდენტები, რომლებიც ზამთრის სასესიო საგნებს პირველ მაისამდე არ ჩაბარებენ, ზაფხულის სასწავლო-საგამოცდო სესიაზე არ დაიშვებიან.

შენიშვნა: 1. გასული სემესტრის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებმა გამოცდები უნდა ჩაბარონ ინსტიტუტის შენობაში მხოლოდ ორშაბათობით და პარასკევობით, დღის 2 საათიდან. 2. გადატანილი სასესიო გამოცდები მოეწყობა სასკოლო არდადეგების პერიოდში (25 მარტიდან 30 მარტამდე). 3. მეოთხე კურსის სტუდენტებმა (არა მასწავლებლები) პედაგოგიური პრაქტიკა უნდა გაიარონ ქ. ქუთაისში წარმოებისგან მოწყვეტით, რისთვისაც ისინი ინსტიტუტში უნდა გამოცხადდნენ 10 აპრილს.

ჩაუვლოთ, ჩაუვლოთ

ტელევიზია

17 თებერვალი

11.00 — კინონარკვევები. 11.40 — მხატვრული ფილმი „სპეტი" (ქართული ვარიანტი). 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის ცოცელიდან „სპინტერესოა ვიცოდეთ". 18.20 — ხანძარსაწინააღმდეგო ვიქტორინის შედეგები. 18.40 — კინონარკვევი. 18.55 — გადაცემა ცოცელიდან „საკოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები" — ნიკო მამაიაშვილი. 19.20 — საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. 20.30 — ახალი ამბები. (ქართულ და რუსულ ენებზე) 20.50 — კინონარკვევი. 21.00 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.00 — მხატვრული ფილმი „ნოკტიურნი".

18 თებერვალი

16.55 — გადაცემათა პროგრამა. 17.00 — ოქტომბრელთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ჯეჯილი". 17.40 — კინონარკვევი. 18.00 — „კინომგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.00 — კინონარკვევი. 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „პირველი ნაბიჯები". 19.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 20.15 — გადაცემა მოსკოვიდან: ხელოვნების ოსტატები — „მსახიობის ბედი" (გადაცემა მიჰყავს რსფსრ დამსახურებულ არტისტს ა. ბატალოვს). 21.45 — „საღამოს შეხვედრები" (საესტრადო გასართობი პროგრამა).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 15 ს. 05 წ.

თეატრები

17 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ზნეობანი ღამე. რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ს. კრისტალსკის კონცერტი (ფორტეპიანო). მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ავარია, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე, მოზარდ მაყურებელთა ქართული — გზა მშვიდობისა (№ 29 აბონ. საღ. 6 ს.).

კინო

17 თებერვალი

რუსთაველის სახელობის — სპარტაკი (II სერია), ოქტომბერი — სპარტაკი (I სერია), ისანი, საქ